| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

გაზეთი ღირს

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეკი.

1877—1892 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892


გაზეთი „**ივერია**“ აპრილის პირველიდამ წლის დამლევამდე ღირს 8 მან.

**კნეინა ალექსანდრა მაკარის ასული მელიქიშვილისა შვილებითურთ** და **თავადი კონსტანტინე ივანეს ძე მელიქიშვილი** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ სამშაბათს, 31 მარტს, დილის ათს საათზედ, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში იქნება **ორმოცის წირვა** და **პანაშვიდი** განსვენებულის თავადის გენერალ-ადიუტანტის **ლევან ივანეს ძის მელიქიშვილისა.**

(2—46—1)

საალდგომო საჩუქარი **ქართველებს.**

იხილეთ მეოთხე გვერდზედ ქართველთა ამხანაგობის განცხადება.

ზედამხედველი კომიტეტი ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა ამით აუწყებს ბ-ნთ წევრთ დამაფუძნებელთ და მესხებლებს ბანკისას, რომ ბანკის წესდების მე-82 §-ის ძალით საზოგადო კრება დანიშნულია ამ 1892 წლის 12 მაისს, დილის 10 საათზედ, საადგილ-მამულო ბანკის სახლში, ტფილისს, სასახლის ქუჩაზედ. განსახილველი საგნები საზოგადო კრებისა:

1) განხილვა და დამტკიცება ბანკის 1891 წლის ანგარიშისა.

2) განხილვა და დამტკიცება დაფასებათა ინსტრუქციისა.

3) წინადადებანი ბანკისა ქალაქს ბაქოსა და ბათუმში სააგენტოების დაარსების შესახებ.

4) წინადადება იმის შესახებ, რომ ერთი წევრი კიდევ მოემატოს ბანკის გამგეობას

5) მესხებელთათვის შეღავათის მინიჭების შესახებ, როცა იგინი დაზარალდებიან უბედურ შემთხვევათა გამო.

6) განხილვა და დამტკიცება 1892 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა.

7) მოხსენება იმ საჭიროებათა შესახებ, რომელთაც უნდა მოხმარდეს საზოგადო საჭიროებისათვის წმინდა მოგების 35%-ით შემდგარი თანხა 1891 წელს.

8) მოხსენება იმ მამულების შესახებ, რომელიც ბანკს დარჩა.

9) განხილვა სხვა-და-სხვა კაცთა და დაწესებულებათა თხოვნისა იმის შესახებ, რომ შემწეობა მიეცეთ,

და 10) არჩევანები: ზედამხედველ კომიტეტის ერთის წევრისა, სამაგიეროდ ნ. დ. ქანანოვისა, რომელმაც სამსახურს თავი უნდა დაანებოს; გამგეობის ერთის წევრისა, სამაგიეროდ თავ. დავით ივანეს ძის ავალოვისა, რომელმაც რიგით თავი უნდა დაანებოს სამსახურს, და არჩევანი დამფასებელ კომისიის ორის წევრისა, სამაგიეროდ ანტონ ნიკოლოზის ძის ფურცელაძისა და თავ. გიორგი სარდიონის ძის ციციშვილისა, რომელთაც რიგით სამსახურს თავი უნდა დაანებონ.

(3—2)

ტფილისი, 28 მარტი

ჩვენ კარგა ხანია მას აქედ, რაც ჩვენს მკითხველებს ვაუწყეთ, რომ ბ-ნმა ტფილისის გუბერნატორმა თ. შარვაშიძემ განკარგებისათვის მისდამი რწმუნებულ გუბერნიის გლეხ-კაცთა ცხოვრებისა ერთი ფრიად ნაყოფიერი და დიდ-მნიშვნელობიანი საქმე დაიწყო და მთელის დაუძინებელის მხნეობით მიეცა ამ საქმის განხორციელებას.

ამ საქმის შესახებ მიწერ-მოწერისაგან ვიცით, რომ ბ-ნს გუბერნატორს ჩვენებურ გლეხ-კაცობის უნუგეშ-ყოფა დაუნახავს. დაჰკვირვებია ამ სამწუხარო ამბავს და მისი მიზეზი სამართლიანად უცვნია იმაში, რომ ჩვენებურს გლეხ-კაცობას, თუმცა ჭკუაც უჭრის და გულიც ერჩის, მაგრამ ცალ-ცალკე გარჯით ვერა უქმნია-რა და ქონებრივ შეუძლებლობისაგან ვერ გამოსულა. ეს ქონებრივი შეუძლებლობა არის თავი და თავი მიზეზი მისის უნუგეშ-ყოფისა და ამიტომაც თუ რამ ეწამლება, სწორედ აქ უნდა ეწამლოსო.

ხოლო რა გზით და როგორ? ყოველი ადამიანი და ნამეტნავად გლეხ-კაცი როგორც ყველგან, ისეც ჩვენში ცალ-ცალკე უღონოა ამ დიდს ტკივილს თვითეულად ცალკე უწამლოს და უნუგეშ-ყოფისაგან თავი დაიხწიოს. ხოლო რამოდენად უძლურია ცალ-ცალკე, ბევრის-ბევრად ღონიერია და ძლიერი, როცა განცალკევებულ ძალ-ღონეს ერთად შეიკრებს. მაშასადამე, საჭიროა მთელის გლეხ-კაცობის ერთიანი მოძრაობა, ერთიანი გარჯა, ერთი შეერთებული საზოგადოებური ღონეო. თუ ზღვა კოვზით დაილევა, კოვზითვე რატომ არ უნდა აივსოს? აქ ხომ მარტო კოვზის სიმრავლეზეა დამოკიდებული ყოველისფერი და ამ შემთხვევაში იმდენს კოვზით წვდას ვერავინ შესძლებს, რამოდენადაც გლეხ-კაცობა, იმიტომ-რომ გლეხ-კაცობა ბევრია და თვითეულისაგან თითო-ოროლა მარცვალი, თუ პირველშივე არა, თავის დროზე მაინც მთელს ხვავს შეადგენს.

ამ სახით გზა-ნაპოვნი იყო. გამოირკვა, რომ ვისაც ჰსურს გლეხ-კაცობა დაიხსნას დღევანდელ გაჭირვებისაგან და ღონე მისცეს ყოფა-ცხოვრების განკარგებისათვის, სახსარი უნდა აუჩინოს საერთო ქონების შეძენისა, რომ ამ გვარ ერთიანის ქონების ძალ-ღონით იგი შეეჭიდოს თავის უნუგეშ-ყოფას, დაიხსნას მისგან თავისი თავი და განკარგების გზას გაუდეს წელ-გამაგრებული. საერთო, საზოგადო ქონების გამგებლობა, მისი საერთო სიკეთისათვის ასე თუ ისე მოხმარება ჭკუითა და გულითაც გასწურთნის გლეხ-კაცობასა, შეაჩვევს საზოგადო საქმეების ჩხრეკას და განკითხვას და ამ გზით საზოგადო საქმეთაგან ნაცადი და ნასწავლი, ჭკუა და გულ-გათამამებული, თვალ-ახილებული თვითონვე გაიგნებს დანარჩენს გზას თავის ყოფა-ცხოვრების განკარგებისასაო და აღარავის აღარ გაუწვდის ხელს: მიშველეო. თავისი მშველელი თვითონ იქნება, სრულიად თავისუფალი სხვის მუნათისაგან და მადლობელი მარტო თავის თავის თვით-მოქმედებისა და მხნეობისაო.

ამ გვარად მთელი თავისი კაცთ-მოყვარული აზრი ბ-ნმა გუბერნატორმა ააშენა გლეხ-კაცობის თვით-მოქმედებაზე, რომელიც ბუნებითად ასე შემძლებელია, ასე გამძლე, ასე მოხერხებული და ასე ნაყოფიერი ყველგან, საცა ამ მადლს ფეხი აუდგამს და ფრთა გაუშლია. შემდეგ ვნახავთ, რომ ამ მადლმა, ბ-ნ გუბერნატორის მხნეობით ჩვენს გლეხ-კაცობაში გაღვიძებულმა, თითქმის სასწაული მოახდინა ამ მოკლე ხანში.

როგორ უნდა შემდარიყო ეს საერთო საზოგადოებური ქონება გლეხ-კაცობისა? რა თქმა უნდა, თვითონ გლეხ-კაცობას უნდა ენაწილნა ამ საქმისათვის თავისი წვლილი, ერთის სიტყვით, ყოველ წლივ ეხადნა ამისათვის დაწესებული გადასახადი. ბევრმა იუარა ეს ამბავი იმ დასაბუთებით, რომ აქაური გლეხ-კაცობა ვითომ უვიცია, გაუგებარი, ვერ მისწვდება საზოგადოებურს აზრს ამ დაწყობილებისას და ქონებითაც მეტად უღონოა, რომ გამოიმეტოს რამეო. საცა სახელმწიფო ხარჯის გამოღება, რომელიც შედარებით მეტად მცირეა, ეძნელებათ, იქ რა საფიქრებელია, რომ მაგ ნაირმა ახალმა გადასახადმა გზა გაიკვალოს და ადგილი დაიჭიროსო.

ამ უარის მყოფელთა პასუხად ის ითქვა, რომ თქვენ აქაურ ხალხს არ იცნობთო, იგი არც ისე უვიცია და გაუგებარი, როგორც თქვენა გგონიათო. აბა საზოგადოებური საგანი გარკვევით გააგებინეთ, აბა დაარწმუნეთ, რომ რასაც გამოიღებს, მისი ხელ-შეუხებელი საკუთრება იქნება, მის განსაკუთრებულ გამგეობის ქვეშ იქნება, მისდა დაუკითხავად გროშის ადგილიდამ დაძვრაც არავის შეეძლება, რომ იგი მარტო მის საჭიროებას მოხმარდება იქ და ისე, როგორც თვითონ ისურვებენ, და მაშინ ჰნახეთ გამოიმეტებს, თუ არა რასმეს საზოგადო ქონების შედგენისათვისაო. ეს გადასახადი და სხვა რაიმე ხარჯი აქ ერთმანეთთან შესადარებელი არ არისო. ეს ახალი გადასახადი გლეხ-კაცს ეცოდინება რისთვის არის, სად მიდის. ისიც ეცოდინება, რომ მის დაუკითხავად ერთი გროშიც არ დაიხარჯება, რომ მარტო მის საჭიროებას, მისგანვე დასახელებულს, მოხმარდებ და სხვა ყოველი ხარჯი-კი, რასაც გლეხ-კაცი დღეს იხდის, სხვის კუთვნილებად მიაჩნია, სხვის სახარჯოდ, იმისი მას არ ეკითხება-რა და აქ, რასაკვირველია, რომ ერთის გადახდა ეადვილოს და მეორესი-კი გაუძნელდეს. არამც თუ იმისთანა უღონოს, როგორც გლეხ-კაცია, შეძლებულსაც - კი გაუძნელდება გაიღოს რამე, როცა არ იცის,

## ფელეტონი

### სიმღერა

ნეტავი ვინმე ისეთი
მაჩვენა, მამახელვინა,
ერთი ნამცეცი ცრემლისა
ჩემთვისაც დაალვრევინა,
რომ ჩემი გული იმის წინ
ხალივით გამაშლევინა:
მაჩვენა ტკბილი იმედი,
ფეხზედ ამდგარი სნეული,
ყველა ჩემ ნდომა-სურვილთან
შაჟერებული სხეული
და ჩემი გული იმისა
კალთაში გამოხვეული!..

ბაჩანა

### ავადმყოფი

(გუი დე-მოპასანისა)

წვიმა ნიაღვარსავით მოდიოდა. მაინც-კი ნორმანდიის დაბლობზედა ვნადირობდი, ახალს ხნულებში, სადაც ფეხებზედ ტალახის უშველებელი ბელტები მეკვრებოდა. ხანდახან თითქმის ჩემს ფეხს ახლო წამოფრთხიალდებოდა ხოლმე შეშინებული ტყის ქათამი... ჩემის თოფის ხმას ციდგან ჩამოვარდნილი წყლის ხშირი ნამი აყრუებდა, შოლტის ტკაცუნსავით ისმოდა, და ყომრალი ფრინველი ფრთებ-შესისხლიანებული ეცემოდა დედამიწაზედ. გული დანაღვლიანებული მქონდა, მიკვნესოდა და მზად ვიყავ, მეც ღრუბლებსავით მეტირნა, რომელნიც ცრემლს აყრიდნენ ქვეყანასაცა და მეცა; სვედაკაეშანმა მომქანცა და ძლივს-ძლიობით ვადგამდი ფეხებს, რომელზედაც ტალახი სქლად ამკვროდა. სახლში დაბრუნებას ვაპირობდი, რომ შორიახლოდგან ექიმის ეტლი დავინახე.

შავად შეღებილი ეტლი, რომელშიაც წაბლის ფერი ცხენი ება და რომელიც ამ ძნელად სავლელს გზაზედ სწრაფად მიჰქროდა, ამ შემოდგომის უამინდო დღეს მუდმივ დაბა-სოფლად მოხეტიალე, შეუბრალებელ, ტიალ სიკვდილის მომასწავებლად მეჩვენა. ეტლი შედგა, ექიმმა გამოიხედა და ხმა მომცა.

მივედი და მივესალამე.

— არ დამეხმარებით, ერთი ხუნაგიანი ავადმყოფი მყავს გასასინჯი? მარტო ვარ, იმას-კი დაჭერა უნდა, რომ ყელი ამოვწო.

— კარგი-მეთქი, დავეთანხმე და გვერდით მოვუჯექ.

მიამბო: ეს საშინელი სენი, რომელიც ასე შეუბრალებლადა ჰხოცავს ხალხს, ღარიბ მარტინეს ოჯახსაც ეწვიაო. მამა და ვაჟიშვილი იმ კვირას გარდაიცვალნენ და ეხლა ჯერი დედასა და ქალიშვილზედ მიდგა. მეზობელი დედაკაცი უვლიდა, მაგრამ ისიც ცუდად შეიქმნა, შეშინდა და გუშინ გაიქცა; კარებიც არ გაუხურია, ისე დაანება თავი უბედურს ავადმყოფებს, რომელთაც ერთი წვეთი წყალიც არა ჰქონდათ წყურვილი მოეკლათ, სრულიად მარტონი, უშემწეონი იყვნენ და აგერ მთელი დღე-ღამეა პატრონი არ გამოსჩენიათ. დედას ყელი გამოვწმინდე და წყალი დავალევინე, პაწია გოგომ-კი, ტკივილისა და შიშისაგან გონება-მიხდილმა, თავი ჩალის ნალში ჩამალა და ახლოს არ მიმიკარა.

— რა ვქნა, მთელს დღეს ხომ იმათთან ვერ დავალამებო! მწუხარე ხმით წამოიძახა ამისთანა ამბავს ჩვეულმა ექიმმა: ძალიან-კი მებრალებიან. ჯერ მარტო ის იფიქროს ადამიანმა, რომ ერთს დღე-ღამეს უსმელები ყოფილან! კარ-ღია სახლში წვიმა შესულა და იქაურობა დაუპონჭოხებია. ქათმები ბუხრის თავზედ შემსხდარან...

მარტინეს ქოხს მივაღწიეთ. ექიმმა ცხენი იქავე მდგარს ვაშლის ხეზედ მიაბა და შევედით.

ცხვირში მწვავე სუნი გვეცა სნეულებისა და ნესტისა, ციებ-ცხელებისა და ობისა, თითქოს ჯურღმულში საავადმყოფო იყოს გამართულიო. ციოდა და ამ უცეცხლო, ნაღვლიანსა და უსიცოცხლო ქოხში რაღაც ჰაობისებური ჰაერი ტრიალებდა. საათი დამდგარიყო. წვიმა ბუხრის მილში ჩამოსულიყო. ბუხარში თავ-შეფარებულს ქათმებს ნაცარი გაექექ-გაეშალათ. ოთახის ბნელ კუთხიდგან-კი მძიმე, იშვიათი სუნთქვა მოისმოდა. პაწია გოგო სულს ძლივს იბრუნებდა.

ვის უნდა მოხმარდეს და როგორ მოხმარდეს გამოღებულიო. თუნდ ეგეც არ იყოს, ამ საქმეს საფუძვლად დაედება ნება-ყოფლობა თვით გლეხ-კაცობისა, ყოველივე ძალ-დატანება სასტიკად აკრძალულ იქმნება და, მაშასადამე, ამ ახალს გადასახადს უსიამოვნო და მწვავი თვისება არ ექმნება, რაც ბძანებით დადებულ ხარჯს მოსდევს. ამისათვის თვითვეული სასოფლო საზოგადოება, რომელიც მოისურვებს ამ საქმის კისრად აღებას, თავის ნება-ყოფლობას თავის განონიერ განაჩენით გამოაცხადებსო.

ამ სახით უარ-მყოფელთა საბუთები არ შეიწყნარა ბ-ნმა გუბერნატორმა და ჩვენს გლეხ-კაცობაზედ იმედ-დაყრდნობილი შეუდგა მის მიერ აღმოჩენილ საქმის განხორციელებას. ჩვენდა სანუგეშოდ, ჩვენმა გლეხ-კაცობამ არ გაუმტყუნა იმედი და ქვეყანას დაანახვა მაგალითი, რომ მართლა ისე უვიცი, ისე გაუგებარი არა ყოფილა, როგორც დღესაც ბევრსა ჰგონია; რომ მარტო საზოგადო შეერთებულ ღონით შესაძლებელია ერთიანად გაძლიერება, ერთიანად წინ წაწევა, ერთიანად გაღონიერება და ყოველ ამისი დაუღალავი გამწე უღლისა თვით-მოქმედებაა, თვით-შველა და თვით-გარჯა. სული და გული ამ საქმისა აქ არის, ამ თვით-მოქმედებაში.

რომ ეს ლიტონ სიტყვად არავინ ჩამოგვართვას, ჩვენ ხელთა გვაქვს ოფიციალური უწყებანი, რომელნიც ცხადად გვაჩვენებენ, რომ ამ საქმისათვის დაუღალავმა მეცადინეობამ ბ-ნ გუბერნატორისამ რა ნაყოფი გამოიღო. ჩვენ ამ ცნობებს აქ მოვიყვანთ და იგინი მით უფრო სანუგეშონი არიან და სასიხარულონი, რომ ბ-ნი გუბერნატორი მაგ საქმის განხორციელებას შეუდგა თითქმის შარშან-წინ და აი მას აქედ ამ ორ წელიწადში რამოდენა ძალი ქონება შეიკრიბა ტფილისის გუბერნიის გლეხ-კაცობამა.

1891 წლის 1-ს იანვრამდე გლეხ-კაცობამ მოიგროვა ფულად 110,692 მანეთი და 57 კაპ., ძველთესლი ხორბალი 256,830,$_7$ ფუთი და ახალთესლი 67,321$^7/_{12}$ ფუთი. ხოლო 1892 წლის 1-ს იანვრამდე ფულად გაიხადა 220,910 მან. 44 კაპ., ძველთესლი 327,373 ფუთი, ახალთესლი 103,566$^2/_5$ ფუთი. ამ სახით თითქმის ნახევარ მილლიონზე მეტი საზოგადოებური ქონება გაუჩნდა ჩვენს გლეხკაცობასა ისე, რომ ჩვენს გლეხკაცობას წარბი არ შეუხრია. გარდა ამისა ხორბლეულობის შესანახად, მინამ გაიყიდებოდეს და ფულად იქცეოდეს, 1891 წლის 1-ს იანვრამდე ჰქონიათ აშენებული ამბარები 1,169 სოფელს. 1892 წლის 1-ს იანვრამდე ამ რიცხვს უმატნია და გამხდარა 1,251-დ.

ამ ოფიციალურ უწყებაში ბევრი სხვა ღირს შესანიშნავი ცნობებია და ამიტომაც მსურველთათვის მთელს უწყებას ვბეჭდავთ ჩვენს გაზეთში.

ხოლო აქ ყურადღება უნდა მივაციოთ მკითხველისა მასზე, რომ თუ ყოველ წელს ასე იმატა ამ საზოგადოებურმა ქონებამ—და დაწესებულება ისეა, რომ არამც თუ ამოდენად უნდა იმატოს, არამედ ბევრად მეტი—ერთ ათ-ხუთმეტს წელიწადს შემდეგ რა სანატრელიდა ექნება ჩვენს გლახ-კაცობას, რომ გაუჭირებლივ არ აისრულოს? ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია მთელის სავსებით და მრავალ გვარობით ის მართლა და დღეს გონება-მიუწდომელი შედეგი, რომელიც ამისთანა დაწყობილებას აუცილებლად უნდა მოჰყვეს, ის გაფართოებული ცხოვრების მოედანი, საცა ამ გზით გაღონიერებული ხელი გლეხ-კაცობისა მთელის თავის უშურველობით და მხნეობით მისწვდება. ჩვენ მარტო ეს-და დაგვშთენია ვინატროთ, რომ შევესწრათ, როცა ამ დღევანდელ დიდს ნათესსა მომკის ჩვენი მერმისი.

ჩვენო თავად-ზნაურობავ, შენ რაღას ჰფიქრობ? ნუ თუ ეს საოცარი მაგალითი საკმაო არ არის, შენც რამე ამისთანა აღმოგაჩენინოს შენის უღონობის და უძლურობისაგან თავის დასახწევად? თვითვეული ცალკე სჩივით თქვენს უნუგეშ-ყოფას და აი გზაც ხსნისა: თვით-მოქმედება და შეერთებულის ღონით საზოგადოებურ ქონების შედგენა თქვენდა საყოველთაო და საერთო საჭიროების გასაძღოლად.

## ახალი ამბავი

⁂ ამას წინად ქალაქის საბჭომ დაადგინა განაჩენი, რომლის ძალითაც კვირაცხოველის აღმართის გზა თავისს გამგეობაში მიიღო. ეს გზა წინად ხაზინის ხელში იყო და გააკეთა გზატკეცილი. ბოლოს, როდესაც იმისთვის დიდს საჭიროებას აღარ შეადგენდა, თავი დაანება, რის გამოც გზატკეცილი სრულიად გაფუჭდა და ზედ ეტლით სიარული საშიშ შეიქმნა. ამიტომაც იკისრა ამ გზის პატრონობა ქალაქმა. ეხლა-ხან გამგეობამ შეადგინა ხარჯთ-აღრიცხვა ამ გზატკეცილის შესაკეთებლად. უნდა შეკეთდეს აღმართის დასაწყისიდგან ვიდრე ბოგირამდე, რომელიც არსენალის იქითკენაა ავლაბრისაკენ. ხარჯად გამგეობა სთხოვს საბჭოს 1786 მანეთს.

⁂ გუშინ, 28 მარტს, საკვირველი ამბავი მოხდა. ერთმა ბებერმა დედაკაცმა სახელმწიფო ბანკიდგან მიიღო 1,145 მან. 26 კ. გამოსვლის დროს კარებში მივარდა ვიღაც ქალი (შეიძლება, ყასიდად ქალურად ჩაცმულიც), გამოსტაცა ეს ფული, უეცრად დასტოვა წამოსასხამი და სადღაც მიიმალა. თუმცა პოლიციამ ბევრი ეძება, მაგრამ ველარსად იპოვა.

⁂ ჩვენ მოგვივიდა ორი ახალი პაწია წიგნი, ვლ. აღნიაშვილის მიერ შედგენილი. წიგნს ეწოდება „ახალი ანბანი“ და ასოებზედ არის დაწყობილი. წინასიტყვაობაში შემდგენელი სწერს, რომ რადგან დიდს საჭიროებას შეადგენს საყმაწვილო წიგნები და რიგიანი ანბანი, ამიტომ განვიზრახეთ ამ წიგნის გამოცემაო. „ახალი ანბანი“ სულ 33 პატარა წიგნი იქნება და შეიცავს: წერა-კითხვას, წვრილ-წვრილ ლექსებს, პატარ-პატარა ამბებს, ცნობებს მეცნიერებიდგან, ბიოგრაფიებს, ცნობებს სამშობლო ლიტერატურიდგან და სხ. და სხ. თითო წიგნი 32 გვერდი იქნება და ეღირება ორი შაური. ყოველ წიგნს ასოების სახელი ჰქვიან. ჩვენ უკვე მოგვივიდა პირველი ორი წიგნი „ან“ და „ბან“-ი. „ან“-ი შეიცავს ანბანს და ენის გასატეხს სავარჯიშო საკითხავს. წიგნაკი საუცხოო სურათებით არის დასურათებული, ძალიან კარგს ქაღალდზედ და ლამაზად არის დაბეჭდილი. განსაკუთრებით სიამოვნებით გადავფურცლეთ მეორე წიგნი—„ბან“-ი, რომელშიაც ხალხური ლექსებია მოქცეული, მშვენიერის ნახატებით დასურათებული: ორივე წიგნი საუკეთესო ქაღალდზედ და ლამაზად არის გამოცემული, დიდად სასიამოვნო საჩუქარს შეადგენს ჩვენის ბავშვებისათვის და შედარებით ძალიან იაფადა ჰღირს, სულ ორ-ორი შაური.

⁂ სამშაბათს, 31 მარტს, კრება ექმნება სამეურნეო საზოგადოებას და სხვათა შორის განიხილავს მოხსენებას კომისიისას ქალაქს ერევანში სამელვინეო სკოლის გამართვის თაობაზედ. კრებას არა წევრთაც შეუძლიანთ დაესწრნენ.

⁂ ჩვენ ამას წინად ნათქვამი გვქონდა, რომ ტფილისის მაზრის უფროსმა უკვე მოსთხოვა გუბერნატორს ამ თავით ფული კალიასთან საბრძოლველ ღონისძიებათა მისაღებადაო. ეხლა ამავე მაზრის სამმართველო უკვე სცდილობს საჭირო მასალა და იარაღი მოიპოვოს კალიასთან ბრძოლისათვის და ამ ნაადგომევს უკვე შეუდგებიან კიდეც კალიასთან ბრძოლის თადარიგს.

⁂ გუშინღამ, 3 საათსა [illegible] 10 წუთზედ, მატარებელი № 48 ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურს სალოღლიში გადავარდა და შუაზედ გადასჭრა მეისრე ხოლომ-მამედ-ოღლი.

⁂ ჩვენ შევიტყეთ, რომ მზადდება გამოსაცემად ბროშიურა ჩვენის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობის წინააღმდეგ და ეს ბროშიურა გამოვა ბანკის საზოგადო კრების წინა დღეებში.

⁂ რამდენისამე დღის წინად ბ-ნმა კურისმა სამკოვის მაღაზიაში, გოლოვინის პროსპექტზედ, 5 გირვანქა ერბო იყიდა. მყიდველმა იფიქრა, იქნება ეს ერბო კარგი არ არისო და საქიმიო ლაბორატორიაში წაიღო გასასინჯად. აღმოჩნდა, რომ სამკოვს ერბოს მაგიერ მარგარინი მიუყიდნია. ბოქაულმა სამკოვს ოქმი შეუდგინა და საქმე სასამართლოში გადასცეს. ტფილისის 1 ნაწილის მოსამართლემ დამნაშავედ სცნო სამკოვი და ორის კვირით ციხეში დაპატიმრება მიუსაჯა. ის მარგარინი-კი, რომელიც სამკოვის მაღაზიაში იპოვნეს, სულ ერთიანად უნდა გადიყაროს.

⁂ ქუთაისი: დღეს, მარტის 25-ს, განთიადისას, ეგრედ წოდებულს არქიელის მთაზედ, ძველის ხიდის მახლობლად, შემდეგი ამბავი მოხდა: ძლიერის ავდრის გამო მიწა ჩამოწვა და თან ჩამოიტანა ორ-სართულიანი სახლი ბ-ნ ჩარკვიანისა. კაცი არავინ დაღუპულა. მდგმურებმა, როდესაც სახლს ნძრევა შეამჩნიეს, თავს უშველეს და თავიანთი ქონება-კი შიგ დასტოვეს. ერთს მდგმურთაგანს თავისს ბარგ-ბარხანაში შვიდასი მანეთი ფული დარჩენია. ქვედა სართული სახლისა არა სჩანს; მიწის ზვავს ქვეშ მოჰყოლია; ზედა სართულიც სულ ერთიანად დალეწილია და რამდენისამე ფიცრის მეტი არა სჩანს-რა. მიწის ზვავი ჩამოწვა ორს ქუჩაზედ, გაბაშვილებისა და მთის ძირისაზედ, და ორივე გააკავა. თვალ-და-თვალ რომ ვიანგარიშოთ, სამასიოდე კუბიკური საჟენი მიწა იქნება ჩამოწოლილი. სადაც ეხლა მიწა ჩამოწვა, იმის გვერდით დიდი ქვიტკირის ორ-სართულიანი სახლი დგას, და თუ მარტმა თავისებური ახირებული ტაროსი დაიჭირა, იქნება ზვავმა ეს სახლიც ქვეშ მოიძლვანიოს. ამიტომ პოლიციამ მდგმურებს ეს სახლი სულ ერთიანად დააცლევინა.

⁂ ქ. ფოთი. 22 ამა თვისას ფოთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრთ კრება ჰქონდათ ანგარიშის განსახილველად, ბანკის დირექტორის ასარჩევად და სხვა ცვლილებათა დასადგენად. საზოგადოების წევრი არის სულ 240. ამათში ორასი ქართველია, მეგრელი და გურული, დანარჩენი-კი სომხობა და რუსები. ყველა წევრი ვერ დაე-

---

დედა უძრავად და მშვიდად იწვა ჩალა-დაფენილს ფიცრებზედ, ამ გლეხთა ჩვეულებრივ საწოლზედ, და დაკონკებული საბანი და ფლას-ფულასი ეხურა. თავი ჩვენკენ მოიღო.

— სანთელი გაქვთ? ჰკითხა ექიმმა.

— განჯინაშიაო, ძლივს გასაგონად უპასუხა ავადმყოფმა.

ექიმმა სანთელი აანთო და ყმაწვილთან მიმიყვანა. ლოყები სრულიად ჩამხმარი ჰქონდა, თვალები უბრწყინავდა, თმა ასწეწვოდა. ყოველს ამოხვრაზედ გამხდარი და გაშეშებული კისერი ეგრიხებოდა. გულ-აღმა იწვა და ორისავე ხელით ზედ გადაფარებულს ძონძებს მოსჭიდებოდა. დაგვინახა და ზურგი მოგვიბრუნა, რომ თავი ჩალაში ჩაემალა.

მხრებიდგან წამოვწიე, ექიმმა-კი პირი დააღებინა და თეთრის ბრწკალის ნაჭერი გამოუღო, რომელიც ტყავსავით მაგარი იყო. ყმაწვილმა უფრო თავისუფლად დაიწყო სუნთქვა და რამდენისამე წვეთის გადაყლაპვა შეიძლო. იდაყვზედ დაყრდნობილი დედა თვალს გვადევნებდა.

— მორჩით? იკითხა დედამ.

— ჰო, გავათავე.

— მაშ ისევ მარტონი უნდა დავრჩეთ?

სთქვა და იმის ხმაში გამოისმა შიში და ზარი, ზარი მარტოობისა, წყვდიადისა და სიკვდილისა, რომელიც ასე ახლოს დასტრიალებდა თავს.

— არა, ჩემო კარგო, მე დავიცდი, ვიდრე მომვლელს ვიშოვნიდეთ-მეთქი, საჩქაროდ დავამშვიდე: ექიმო, დედაკაცი გამოგზავნეთ, ფულს მე მივცემ.

— კარგი და კეთილი. ეხლავე გამოგიგზავნით, სთქვა ექიმმა და საჩქაროდ გამომემშვიდობა.

ერთს წუთს შემდეგ მიმავალ ეტლის ხმა გავიგონე და მარტო დავრჩი ორს ავადმყოფთან ერთად.

ჩემი ძაღლი ბუხართან გაიშოტა და მაფიქრებინა, რომ ცეცხლის გაჩაღება ურიგო არ იქნებოდა. შეშისა და ჩალისათვის გაველი, და ცოტას ხანს შემდეგ კერაზედ გაბრიალებულმა ცეცხლმა მთელი ქოხი გაანათა, ის ბნელი კუთხეც-კი, სადაც ყმაწვილი იწვა, რომელმაც კვლავ მძიმედ დაიწყო ქშინვა და სულს ოდნავ-ღა იბრუნებდა.

ბუხარს წინ ჩამოვჯექი და ფეხები ცეცხლს მივუშვირე. ფანჯრის შუშებს წვიმა უშხაპუნებდა, ქოხს გარშემო ქარი ზუზუნებდა, ქოხში-კი გაისმოდა ორისავე ავადმყოფის მძიმე ქშინვა და მშვიდობიანი სუნთქვა მძინარე ძაღლისა, რომელიც ანთებულს ბუხართან გაწოლილიყო.

სიცოცხლე? რა არის სიცოცხლე? აგერ ორი უბედური არსება, რომელთაც მხოლოდ ჩალაზედ-ღა სძინავთ, მარტო შავს პურსა სჭამენ და დაუღალავად ჰშრომობენ, ყოველივე უბედურება გამოცდილი აქვთ და სასიკვდილოდ განწირულნი არიან. რა დააშავეს ისეთი? მამა გარდაიცვალა, ვაჟიშვილიც თან გადაჰყვა! მთელს უბანში-კი ოჯახს ყველანი პატივსა სცემდნენ, რადგან პატიოსანნი იყვნენ. ჩემს თავსა და ჩემს ფერხთა წინაშე მწოლარე ძაღლს შევხედე და გულს გამელვიძა საზიზღარი ცხოველურ სიხარულის გრძნობა, როდესაც ჩემი ბედი ამ ტანჯულთა ბედს შევადარე!

ყმაწვილმა ამოიკვნესა, ეს მწუხარე კვნესა-გმინვა მჭრელ, ბასრ დანასავით მეძგერა გულს და ვერ გავუძელ, ველარ ავიტანე.

— ხომ არა გწყურიან? ვკითხე ყმაწვილს და მივუახლოვდი.

თავი დამიქნია. პირში რამდენიმე წვეთი წყალი ჩავუშვი, მაგრამ ვერ გადაყლაპა.

დედამ, რომელიც უფრო ადვილად იტანდა ავადმყოფობას, პირი მოიბრუნა და თავისს შვილს შეჰხედა. მე-კი, იმის დანახვაზედ, კვლავ შიშმა და ზარმა ამიტანა და ნათლად ვიგრძენ, თითქოს ტანზედ რაღაც ცივი და საშინელი გველ-ვეშაპი მომეკარა-მეთქი. ვერ მომესაზრა, არ ვიცოდი, სად ვიყავ. სიზმარი იყო ეს ამბავი, თუ ლანდი? ნუ თუ მართლა ასეთი ამბავი შესაძლებელია, და შეიძლება ადამიანი ასე მოკვდეს? ქოხის ყოველ კუთხე-კუნჭულს თვალებს ვაჰყვეტდი, თითქოს მოველოდდი, რომ სადმე დავინახავ-მეთქი საზარელს დარაჯს ადამიანთა სიცოცხლისას...

მიმქრალს ბუხარს ფიჩხი მივუმატე. არა, იმედი მაქვს, რომ მე უფრო მოწყობილს ოთახში დავლევ სულს, გარს ექიმები მეხვევიან, ირგვლივ წამლის შუშები მექნება შემოწყობილი. ესენი-კი მთელს დღე-ღამეს ცალიერს ჩალაზედ იწვნენ, უშემწეოდ, უნუგეშოდ, უცეცხლოდ!...

გარედგან ცხენის ფეხისა და ეტლის ყრუ ხმა მოისმა და ქოხში სამუშაოს შოვნით კმაყოფილი ავადმყოფების მომვლელი დედაკაცი დინჯად შემოვიდა.

ფული მივეცი, საჩქაროდ გამოვვარდი ქოხიდგან და, ქურდსავით, სირბილით გავექანე ჩემის სახლისაკენ, სადაც მოსამსახურემ მშრალი ტანისამოსი და თბილი საჭმელი დამახვედრა.

მაგრამ ეს სურათი-კი ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება, არც ესა და არც ბევრი სხვა, რომელთა გამოც მძულს ეს ქვეყანა...

ორ-ანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწრა კრებას ავდრების გამო; ყველაზედ უწინ თავმჯდომარედ არჩეულმა მეიერმა წაიკითხა თხოვნა ბუჰგალტერისა ჯამაგირის მომატების თაობაზედ მისთვისა და მოსამსახურეთათვის. ამას გარდა, კენჭის ჩამოუტარებლად დაადგინეს, რომ 1,800 მანეთს დირექტორის ჯამაგირს ორასიც მიემატოსო. ამ რიგად ყველა ბანკის მოსამსახურეს ზოგს ორასი, ზოგს სამასი მანეთი მიემატა ჯამაგირად.

*** თელავი: აი რა და რა ამბები მოხდა ჩვენში ეხლ-ახან: მარტის პირველს რიცხვებში გასტეხეს ბაზაზის დუქანი, სახელდობრ არტემ მარქაროვისა, და გაიტანეს 500 მანეთამდე; მეორე კვირას გასტეხეს ისევ იმ უბანში ბაზაზის დუქანი არტემ ბეგიჯანოვისა და გაიტანეს ისევ იმდენივე, მაგრამ ქურდები ჯერ ვერ აღმოუჩენიათ. თუმცა რამდენიმე დააპატიმრეს, მაგრამ იმათგან ზოგი უკვე განათავისუფლეს. 22-ს მარტს კიდევ, საღამოს 5 საათი იქნებოდა, რომ მოჰკლეს 20 წლის ყმაწვილი კაცი, სერგო ფარსადანოვი. საბრალო მიდენილა საღამოზედ შინ და უკან დასდევნებიან ავაზაკნი, ცნობილნი ნერსეს სიმონოვი და პანკისა. საბრალოსთვის დაუძახნიათ: დადექიო, მიჰსვიან, ხანჯალი გაუყრიათ მუცელში და გაქცეულან. როცა მიიყვანეს ფარსადანოვი მეზობლებმა თავისს სახლში, აცნობეს მაშინვე მაზრის მკურნალს. მკურნალი თუმცა მობრძანდა ფერშლითურთ და ჭრილობა შეუხვია, მაგრამ საბრალო 4 საათს შემდეგ გარდაიცვალა და სიკვდილის წინა სთქვა—ნერსესამა და პანკისამ მომკლესო.

ისევ იმ საღამოს, ბაზარში, საათის 10 იქნებოდა ღამისა, რომ მეპურე გავიდა თავის დუქნიდგან იქვე მეზობელთან ფულის დასახურდავებლადა. ვიდრე მეპურე მობრუნდებოდა, სცემიან დაგეშილი ქურდ-ბაცაცები დახლს და გამოუგლეჯიათ. ფული ორი მანეთი ყოფილა. ზედ შესწვრია მეპურეცა. ყვირილზედ პოლიციაც მისულა და დამნაშავენი შეუპყრია.

23 მარტსს ს. წინანდალში შეეპყროთ მკვლელები ფარსადანოვისა, რომელნიც ურმით მოიყვანეს თელავში გათოკილები და დააპატიმრეს.

23 მარტს მოხდა არჩევა დეპუტატისა და აირჩიეს ისევ ერთი შარშანდელი დეპუტატი, არტემ ტერ-სარქისოვი და მეორეც ისევ დეპუტატად ნამყოფი მიხეილ თათუზოვი. ვავალებთ ამ ახლად არჩეულს დეპუტატებს, რომ იშუამდგომლონ მაზრის უფროსთან, დაადგინონ განაჩენი, აღწერონ შენიშნული კაცები, უკრან თავი, საითაც კანონი ინებებს, და ამითი გული დაგვიმშვიდონ.

*** დ. ნაოღვლევი (სენაკის მაზრა): 12 ამ თვისას, ღამის პირველს საათზედ, ჩვენს დაბაში შემდეგი უბედურება დატრიალდა: წაეკიდა ცეცხლი და თხუთმეტი დუქანი გადაიწვა. ზარალი ოცი ათასს მანეთზედ მეტია. არც ცეცხლის საქრობი მანქანა ჰქონდათ, არც დუქნები იყო დაზღვეული.

*** გორი: ამ დღეებში ქალაქ გორში შემდეგი ამბავი მოხდა. მუმინოს ცირკში, ღამის 11 საათზედ, ხიდისთავის ჩაფარს გიორგი იზმაილოვს და გორის მცხოვრებს ღვთისწყალობა მამულოვსა და იმის ამხანაგს, მიხა მათიაშვილს რაღაზედაც ჩხუბი მოუვიდათ. ჩხუბის დროს ჩაფარმა იზმაილოვმა ხანჯალი ამოიძრო და ორივე დასჭრა, მამულოვი მარცხენა მკლავში და მათიაშვილი ხელსა და თავში. მათიაშვილის მორჩენის იმედი არა აქვთ.

*** ამას წინად ჩვენს გაზეთში „Нов. Обоз.“-დგან გვქონდა გადმობეჭდილი, რომ ზუგდიდის მახლობლად ერთმა აზნაურიშვილმა ალექსანდრე ჭედია და ორი ქალი მოჰკლაო. იგივე გაზეთი სწერს ეხლა, რომ ჭედიას მკვლელი, აზნაურიშვილი-კი არა, გლეხი ბესო კვარცხალია ყოფილა და მხოლოდ აზნაურიშვილი ალექსანდრე ჭედია მოუკლავსო. რაც შეეხება იმას, რომ ვითომ ორი ქალიც მოუკლავს იმავე კაცსა, ეს ამბავი ტყუილი აღმოჩნდაო. მკვლელობის მიზეზი ცოლის გამო იჭვნეულობა ყოფილა.

*** 27 მარტს, საღამოს ცხრა საათზედ, ოქრომჭედლების ქუჩაზე სტეფანე ლიტანვამ დანით მსუბუქად დასჭრა გიორგი მელაძე. მიზეზი ფულის ანგარიში ყოფილა. დამნაშავე შეიპყრეს.

*** ამავე დღეს კირიჩნის ქუჩაზედ ერთის კვირის დაბადებული მიგდებული ბავშვი იპოვნეს და საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

## ნარევი

1882 წ. წინამძღოლის არჩევანზედ, სხვათა შორის, ზოგნი უცენზოროდ დაესწრნენ. მართალი უნდა ამოერჩიათ იმ წელს. თავმჯდომარე მიუბრუნდა ერთს ქართველ მწერალთაგანს და იმასაცა სთხოვა:

— კენჭის ყრის დროა და გთხოვთ აქედგან გაბრძანდეთ, რადგანაც კანონის მუხლი ნებას არ გაძლევთ აქ ყოფნისასაო.

— მივდივარ, მაგრამ ის მაინც გამაგებინეთ, რომელმა მუხლმა გკადრა ეგ ბანდური, უპასუხა სიტყვა-მოსწრებით მწერალმა.

### საეპარქიო მთავრობის განკარგულებანი

ნუსხა

საქართველოს საექსარხოსოს იმ სასულიერო პირთა, რომელთაც უწმიდესის სინოდის განსაკუთრებულ თანხიდგან შემწეობა აღმოუჩინათ 1891 წლის განმავლობაში.

შტატს გარეშე მყოფს მღვდლებს:

70 მან.: გიორგი ჩიმაკაძესა და იოსებ მაჭავარიანს; 60 მან.: დავით ჩხიკვიშვილსა და ილარიონ კანდელაკს.

დეკანოზის ქვრივს მარიამ მამისაშვილისას მიეცა შემწეობა 70 მან.

მღვდლის ქვრივებს:

70 მან.: ჰელენა ჩხატარაიშვილისას, ანნა მელიავასას, ნატალია ცინცაძისას, ანასტასია ჭუჭულაშვილისას; 65 მან.: კლავდია კუზნეცოვისას, ევდოკია ზურაბაძისას; 60 მან: სიდონია ხელაშვილისას, მართა მაჭავარიანისას, ნინო კაციტაძისას, მელანია ბაზიერიშვილისას, ეფემია ადეიშვილისას, მართა ქიქოძესას, ელისაბედ შენგელიას, მართა გოგოჩიშვილისას, მელანია რატიშვილისას, თებრონია მდივანისას, ბარბარე მაისურაძესას, ქრისტინა სიხარულიძესას, სიდონია ჭაჭანიძესას, ეკატერინე კოლოტაძესას, მარიამ ტიტვინიძესას და თალალა ცაგარელისას; 50 მან.: დეკანოზის ქალიშვილს ნინო მამაცაშვილისას და მღვდლის ქვრივს ეფემია დავითურისას; 40 მან.: მთავრის ქვრივს ნინო კოპანაშვილისას.

შტატს გარეშე მყოფს დიაკვნებს:

25 მან.: კირილე რაზმაძეს, სოლომონ ლომიძეს, იაკობ ბარნოვს და სიმონ შალიბაშვილს.

დიაკვნის ქვრივებს:

25 მან: მართა მაღალაშვილისას, გაიანე ქაბაძესას და ეკატერინე კოტეტიშვილისას („სასულ. მოამბე“).

## რუსეთი

გაზ. „Нов. Врем.“-ში ფრიად საყურადღებო წერილია დაბეჭდილი შემდეგის სათაურით: „მუსიკა და მეურნეობა“. მკითხველი იფიქრებსო, ამბობს ამ წერილის ავტორი, რა აქვს საერთო ამ ორს საგანს: მუსიკა და მეურნეობა?! მაგრამ თუ იმას დავუკვირდით, როგორ ვასწავლით ახალს თაობას მუსიკასა და მეურნეობას, ძლიერ საკვირველი და საგულისხმიერო ამბავი წარმოგვიდგება თვალ-წინ. მუსიკაში უფრო დახელოვნებული ვართ, თუ მეურნეობაში?

დიდ-მარხვა სწორედ რომ მუსიკის სეზონია მთელს რუსეთში. აბა ჩამოთვალეთ, თითო ქალაქში რამდენი კონცერტი და სამუსიკო დილა და საღამო იმართება დიდ-მარხვის ხუთის კვირის განმავლობაში. შეგვიძლიან დაბეჯითებით ვსთქვათ, რომ ყოველ წლივ გვემატება ნასწავლი გაწვრთნილი და გამოცდილი მემუსიკე, მომღერალი, გალობისა და მუსიკის მასწავლებელი. სწორედ სასიამოვნოა, როცა ვხედავთ, რამდენსა ვცდილობთ, რომ რუსეთში მუსიკა და სიმღერა ვასწავლოთ ახალს თაობას! მუსიკისთვის 10-ზედ მეტი უმაღლესი სასწავლებელი გვაქვს დაარსებული. მარტო პეტერბურგში სამი კონსერვატორიაა: რუსული სამუსიკო საზოგადოებისა, ბალაკირევის სკოლა და მგალობელთა კაპელლა. ორი კონსერვატორია მოსკოვშია, შემდეგ კიევსა, ოდესას, ხარკოვსა, ტფილისში და სხ. უმაღლესს სამუსიკო სასწავლებლებს თან მოსდევს სამუსიკო საშუალო სასწავლებლები. სამუსიკო საზოგადოების სკოლა, საპედაგოგიო მუზეის სამუსიკო კლასები, ოპერის მუსიკალური სკოლა, ბავშვების სამუსიკო კლასები, საეკკლესიო გალობის სკოლა, თორმეტამდე კერძო კონსერვატორია და სხ.; ყველა ეს სამუსიკო სკოლები მარტო პეტერბურგშია გამართული. ამდენივე სამუსიკო სკოლაა მოსკოვსა, კიევსა, ხარკოვსა, ოდესაში და სხვა ქალაქებშიაც. ამას გარდა, რამდენი სამუსიკო განყოფილებაა ყველა ქალაქის სკოლებთან დაარსებული? რამდენი სამხედრო ხორო და ორკესტრია რუსეთის თითოეულს ქალაქში?

აბა ეხლა ვნახოთ, რამდენი უმაღლესი სამეურნეო სკოლა გვაქვს? მთელს რუსეთში მხოლოდ ოთხი უმაღლესი სასწავლებელია მეურნეობისა. პეტერბურგში—ერთი, ისიც მხოლოდ სატყეო სასწავლებელია, მოსკოვში—ერთი და ისიც თითქმის დაკეტილია და ორიც იმპერიის განაპირს ადგილებში—რიგასა და ახალ-ალექსანდრიაში. რუსეთის მთელს აღმოსავლეთისა და სამხრეთის მხარეს არც ერთი უმაღლესი სამეურნეო სასწავლებელი არ მოგვეპოვება.

იმ ქალაქებში, სადაც ასობით არის გამართული სამუსიკო სკოლა, ათი სამეურნეო სასწავლებელიც არ მოიპოვება. არის ისეთი ქალაქებიც, სადაც ოცი და ორმოცი სამუსიკო სკოლაა და სამეურნეო-კი ორიც არ არის. ნუთუ ამ გარემოებას არ ედება ბრალი, რომ შარშანდელმა მოუსავლობამ მკვახედ მოგვახალა: „მაშ გალობდი, იფარფაშეო? მიბძანდი ეხლა და სინჯე—იხტუნე, ითამაშეო!“

მგონია თქმა საჭირო აღარ არის, რომ თუ გვინდა მომავალში მოუსავლობა ავიცილოთ თავიდგან, იმდენი მაინც უნდა ვიზრუნოთ მეურნეობის ცოდნის შესაძენად, რამდენსაც სამუსიკო სწავლისათვის ვზრუნავთ.

## უცხოეთი

**ავსტრი-ვენგრია.** პრაგის გაზეთი „Politik“-ი შემდეგს ცნობებს იუწყება იმ უწესოების შესახებ, რომელიც პრაგაში მოახდინეს კომენსკის იუბილეის გადახდის აღკრძალვის გამო. საღამოს 7 საათზედ Karl-platz-ზე შეიკრიბა 3,000 კაცი. ეს ხალხი მღეროდა პატრიოტულს სიმღერებს—კომენსკის „სლავას“ უყვიროდა, ხოლო მინისტრს გაუჩს, რომელმაც იუბილეი აღკრძალა, „pereat“-სა. პოლიცია ჩაერია საქმეში და ხალხი მალე გაფანტა, თან ორი კაციც დააპატიმრა. როცა დაჭერილები კომისარიატში წაიყვანეს, ხალხი სცდილობდა მათს განთავისუფლებას. შეებრძოლნენ ერთმანეთს ხალხი და პოლიცია. პოლიციამ ხმლით რამდენიმე კაცი დასჭრა კიდეც. ამავე დროს ორ-სამს სხვა ალაგსაც დიდი ბრძოლა ჰქონდა გამართული პოლიციასა და ხალხს. ყველგან კომენსკის „სლავა“-ს უძახდნენ და მინისტრს გაუჩს-კი „pereat“-სა.

**გერმანია.** 18 მარტს კრების დროს რეიხსტაგმა შეიწყნარა კანონ-პროექტი ელზას-ლოტარინგიაში შიშიანობის წესის შემოღებისა. ეს პროექტი შეწყნარების წინად რამდენადმე შეცვლილ და შევსებულ იქმნა კომისიის მიერ, რომელმაც კანონ-პროექტიდგან ყოველივე გამოსტოვა, რასაცკი შეეძლო ცოტაოდნად მაინც დაებრკოლებინა მთელს იმპერიაში საერთო კანონის შემოღება. სამხედრო მინისტრმა კალტენ-ბორნმა და დეპუტატებმა პეტრიმა და დელლესმა მოიწონეს კომისიის მიერ აღნიშნული რედაქცია ხსენებულის კანონ-პროექტისა. იმათ გარდა, სხვა ყველა დასმაც მოიწონა იგივე რედაქცია, გარდა სოციალ-დემოკრატებისა, რომელთა წარმომადგენელი ბიკელი მაინც ამტკიცებდა, რომ თუ ეგ კანონი შევიწყნარეთ, პროვინციებს ცალკე, განსაკუთრებული კანონი ექნებათ და არა საერთო, საიმპერიოო.

## ბიბლიოგრაფია

„გუჯრები“, ა. ხახანაშვილისა, გამოცემა დეკ. დ. ღამბაშიძისა. ქუთაისი, 1891 წ.

ვისაც ქართული მატიანე „ქართლის ცხოვრება“ წაუკითხავს, შენიშნავდა, რომ იქ ჩვენს წარსულს შინაურს წეს-წყობილებაზედ მეტად ცოტაა ნათქვამი და ნაამბობი. მატიანე უფრო პოლიტიკურსა და გარეგანს ცხოვრებას მოგვითხრობს. ამიტომ შეუძლებელია სამშობლო ისტორიის შემსწავლელი ქართველი მარტო „ქართლის ცხოვრებას“ დასჯერდეს. ასეთი შრომა ნაკლიანიც იქნება და უნაყოფოც, რადგანაც მატიანე უყურადღებოდ სტოვებს შინაურს ცხოვრებას, იმ წესსა და რიგს, რომელიც წარსულის ნამდვილი სულია და რომელიც იმის გამაცხოველებელს ძალას შეადგენდა. სამწუხაროდ, ჩვენს ეგრეთ წოდებულს განათლებულს საზოგადოებაშიაც-კი ნაკლებად არის გავრცელებული მატიანეს ცოდნა. რაიცა შეეხება წარსულის შინაურის ცხოვრების ცოდნას, ამისი ხომ სრულიად არა ითქმის-რა: ასეთს ცოდნას ჯერ ფეხიც არ აუდგამს, თორემ იმის გაუვრცელებლობას ვინდა ინაღვლიდა... ამ სამწუხარო ამბავს დიდი ზარალი მოაქვს ჩვენის საეროვნო აღორძინების საქმისათვის, იგი მეტად აბორკებს და აბრკოლებს ჩვენს ისტორიულს განვითარებას. საკმაო როდია, როცა ქართველმა მხოლოდ თავისი პოლიტიკური თავ-გადასავალი იცის, არა,—უფრო მეტად საჭიროა იმის ცოდნა, თუ რა ზნე-ჩვეულება, რა წესი და სამართალი, ეკონომიური განწყობილება, როგორი გამგეობა და მმართველობა ასულდგმულებდა და ძალ-ღონით ჰმოსავდა საქართველოს. ვისაც ეს ცოდნა არა აქვს, წარსულსაც ვერ გაიგებს, და თუ ასეთი ნახევარ-მცოდნე ქართველი მწერალიც არის, მაშინ ბევრს შეცდომას უძღვნის მსმენელს საზოგადოებას, მრუდე გზისაკენ მიჰმართავს ერის აზროვნობას. ჩვენი ისტორიული ცოდნა ჯერ-ჯერობით ვერც ასცდება ცალ-კერძო მიმართულებას. ამის მიზეზი ისაა, რომ შინაურის ცხოვრების შესასწავლად საკმაო საისტორიო მასალა არ მოგვეპოვება დაბეჭდილი.

ბ-ნს ა. ხახანაშვილს კარგად ესმის, რა უფრო საჭიროა ისტორიის საცოდნელად. ისიც კარგად შეუგნია, თუ რა ნაკლი აქვს ჩვენს ისტორიულს ცოდნას. გამოვიდა თუ არა სალიტერატურო ასპარეზზედ, ავტორმა უმთავრესი ყურადღება საქართველოს შინაურს ცხოვრებას მიაქცია და მოკლე ხანში საკმაოდ შრომა გასწია ამ ცხოვრების შესასწავლად. ეხლაც თავისი „გუჯრები“ იმ აზრით დაუბეჭდია, რომ მასალა მისცეს მკითხველს და დაეხმაროს წარსულის შინაურ ცხოვრების შესწავლაში. თუ ავტორი შემდეგაც იმ გზით ივლის, როგორც აქამდე უვლია, მაშინ თვალ-საჩინო სამსახურს გაუწევს ჩვენს ისტორიულს მეცნიერებას. ავტორი ისე შემკულია შრომის უნარით, ენერგიითა და საქმის ცოდნით, რომ ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, პირ-ნათლად და სინიდისიერად შეასრულებს თავისს მოღვაწეობას...

„გუჯრებს“ წინ მიუძღვის ვრცელი წინასიტყვაობა, რომელიც თავისის შინაარსით საყურადღებოა და ჰგ რს, რომ ყველა განათლებულმა

ქართველმა წაიკითხოს,—იქ მკითხველი ბევრს ახალს აზრს ამოიკითხავს, თუმცა-კი ზოგიერთს ისეთსაც შეხვდება, რომელიც წინად გამოთქმული ყოფილა ჩვენს მწერლობაში. გუჯრის შესახებ ავტორი ამბობს, განახლებას თხოულობდაო, ამის მაგალითებს გვიჩვენებს და ის მთავარი აზრი გამოჰყავს, რომ გუჯრის განახლება წარმოსდგა მეფისა და ბატონის უფლებისაგან: მიწა და მამული მეფის და ბატონის ხელთ იყო, მფლობელობაზედ ყურადღება იმათ ეჭირათ და ნაბოძები გუჯარიც უნდა განახლებულიყო შემდეგის მეფისა და ბატონისაგანაო. ეს აზრი ნათელს ჰფენს სამამულო საკუთრებას და სულ სხვაფრივ გვიხატავს ეკონომიურს დამოკიდებულებას. რაკი სამამულო საკუთრება მკვიდრი და შეურყეველი არა ყოფილა, იქნება ესეც იყო მიზეზი იმ შფოთისა და ღელვისა, რომელსაც საქართველოს ფეოდალები სჩადიოდნენ... მაგრამ ავტორის აზრს უფრო დიდი დასაბუთება ესაჭიროება და აი რად: ძველად საქართველოში სამამულო საკუთრება სამკვიდრო იყო და თვით ფეოდალობაც მემკვიდრეობით მამისაგან შვილზედ გადადიოდა. ესევე უნდა ითქვას ეკკლესიასა და იმის სამამულო საკუთრებაზედ. მაშ გუჯრის განახლება სავალდებულო და საყოველთაო წესი არ იქნებოდა და საცილობელიცაა, რომ ყოფილიყო. თითონ ავტორი ამბობს, და მართლადაც ამბობს, რომ მეფეს განუსაზღვრელი უფლება არა ჰქონდაო. თუ ასე იყო, თუ მეფე მხოლოდ პირველი იყო თავის თანასწორ ფეოდალთა შორის (ავტორის აზრია), ყოველთვის გუჯრის განახლება რა საჭიროებას შეადგენდა? საიდგან და როგორ-ღა ექნებოდა მეფეს მინიჭებული უზენაესი სამამულო საკუთრება? ჩვენ ვფიქრობთ, რომ სამამულო საკუთრება ძველად საქართველოში უფრო მკვიდრად დაფუძნდა და გუჯრის განახლებაც შემთხვევითს მოვლენას შეადგენდა. ეხლაც-კი ჩვენს ხალხს საკუთრება ისეთი მკვიდრი ჰგონია, ხიზანსაც-კი ვერ დააჯერებ, რომ მამული ბატონისაა და ბატონს ნება აქვს გადაასახლოს... ყოველ შემთხვევაში, კამათს არ გავუგრძელებთ ავტორს. ავტორის მოსაზრება მეტად ჩამაფიქრებელია და კამათობისათვის დიდს ანგარიშს თხოულობს. რასაკვირველია, ცილობა შეიძლება, მაგრამ, რაც უნდა იყოს, თითოეული მთავარი აზრი ავტორისა პატივსადებია და საბუთებით შეიარაღებული.

გუჯრებს შიგა და შიგ სხოლიოები აქვს ჩართული. საზოგადოდ ეს გუჯრები ძვირფასი მასალაა მცოდნე და განვითარებულ ქართველისათვის, რომელსაც ჩვენის ისტორიის შესწავლა ჰსურს. ხოლო იმ ჯურის „ინტელიგენტი“, რომელიც წყალ-წყალა ფელეტონების კითხვას დაჩვეულა და ვისაც გონების საზრდოდ და ვარჯიშად მსუბუქი და გასართობი ნაწერი მიაჩნია, არ წაიკითხავს გუჯრებს და არც ავტორს იმის წასაკითხად დაუბეჭდია თავისი შრომა...

ნ. ურბნელი

## დეპეშა

27 მარტი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულ იქმნა ბრძანება იმის შესახებ, რომ გამოიცეს ახალი ექვსის განყოფილების სერიის ბილეთები სახელმწიფო ხაზინისა 16.516.000 მან.

**ცარიცინი.** ნავოსნობა დაიწყო.

**ტაგანროგი.** ვაჭარს ამირს, რომელსაც ბრალად ედებოდა ტამბოვის ერობის აგენტისათვის მიყიდულს შავს პურში მიწისა და სხვ. გარევა, მომრიგებელმა მოსამართლემ ერთის თვით დაპატიმრება გადაუწყვიტა.

**სამარა.** ინგლისურ ჟურნალ „Nenetenth“-ის მიერ შეკრებილის ფულით სამარაში გაიმართა დროებითი სამკურნალო 50-ის საწოლით და მიწვეულ იქმნა სასანიტრო დასი ნოვოუზენის მაზრაში. ამ უკანასკნელს თვეში გუბერნიის საქველ-მოქმედო კომიტეტმა გამართა 143 სასოფლო სამზრუნველო, 173 სასადილო და 39 საცხობი.

**ბერლინი.** კვლავ დაიწყეს ლაპარაკი, კანცლერი კაპრივი სამსახურს თავს დაანებებს, რადგანაც პარლამენტში მომეტებული ნაწილი მთავრობის მომხრე არ არისო.

**ვენა.** ამ კვირია თითქმის ყოველ დღე იწვოდა შენობანი ქალაქის შუა ნაწილებში: დღეს დილით ცეცხლი გაუჩნდა ერთის სახლის სხვენს ვოლოვიატინგში. ცეცხლის გაჩენის ერთი-ერთმანეთის მსგავსებამ აფიქრებინა ცეცხლის მქრობლებს, რომ განგებ უკიდებენ ცეცხლსაო. ჰფიქრობენ, რომ როგორც 1883 წელს მრავალი კაცი მოჰკლეს ანარხისტებმა, ისე ამ ჟამადაც ისინი უკიდებენ სახლებს ცეცხლსაო.

პეტერბურგის ბირჟა, 27 მარტი.

| | მყიდველისა. მან. კ. | გამყიდველისა. მან. კ. | გაყიდულისა. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | $7^3/_4$ | $7,_{80}$ | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 155 | 156 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — ,, | $1,_{12}$ | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | $236^1/_2$ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 219 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | 199 | 199 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% . . . . . | 102 | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | $99^1/_4$ | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | 102 | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | $99^1/_2$ | — ,, | — ,, |

## უწყება

მისი, თუ რა მდგომარეობაშია სასოფლო საზოგადო ფული და პურის მაღაზიები ტფილისის გუბერნიაში 1-ლ იანვრისათვის 1891 და 1892 წწ.

| №№ რიგზედ | სახელები მაზრისა | რიცხვი ყველა სასოფლო საზოგადოებისა მთელს მაზრაში. | რომელი წლის პირველ იანვრისათვის. | რიცხვი მაზრის იმ სასოფლო საზოგადოებათა, რომელთაც პურის მაღაზია აქვთ. | რიცხვი სოფლებისა იმ სასოფლო საზოგადოებათა, რომელთაც პურის მაღაზია აქვთ. | რიცხვი ორივე სქესის მცხოვრებთა იმ სასოფლო საზოგადოებათა, რომელთაც პურის მაღაზია აქვთ. | რამდენია ამ ჟამად სასოფლო საზოგადოებათა სათადარიგო მაღაზიებში ფუთი ხორბალი. ძველთესლი | ახალთესლი | რამდენია საზოგადო ფული სასოფლო საზოგადოებებში. მან. | კაპ. | სად ინახება ეს ფული. | ს ხ ო ლ ი ო |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ახალქალაქისა . . . | 10 | 91 | 10 | 107 | 53.436 | — | 4.778 | 55.266 | 72 | ფული ინახება ადგილობრივ მაზრის ხაზინებთან სახელმწიფო ბანკის შემნახველს კასსებში და სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში. | |
| | | | 92 | 10 | 108 | 63.769 | 27.124 | 24.536 | 74.052 | 13 | | |
| 2 | ახალციხისა . . . | 9 | 91 | 9 | 189 | 41.217 | 8.556 | $4.030^1/_4$ | 5.955 | 19 | | |
| | | | 92 | 9 | 189 | 42.775 | $9.801^1/_2$ | $5.313^1/_2$ | 7.721 | 41 | | |
| 3 | ბორჩალოსი . . . | 53 | 91 | 50 | 258 | 70.033 | 10.205 | $25.351^1/_3$ | 2.844 | 70 | | |
| | | | 92 | 53 | 266 | 93.779 | 44.254 | 1.732 | 25.969 | 2 | | |
| 4 | გორისა . . . | 122 | 91 | 71 | 225 | 61.653 | 50.000 | 12.000 | 2.148 | 25 | | გორის მაზრის 1891 წ. პურის რაოდენობის ცნობები ვარაუდით არის მოყვან. |
| | | | 92 | 85 | 285 | 90.926 | $75.222^1/_2$ | 31.587 | 4.788 | 5 | | იმავე მაზრის 1892 წ. ცნობები პურის რაოდენობის შესახებ უნდა შემოწ. იქმ. |
| 5 | დუშეთისა . . . | 48 | 91 | 17 | 104 | 15.023 | 297 | 259 | 13.247 | 70 | | |
| | | | 92 | 18 | 106 | 20.821 | 7.280 | 3.049 | 17.180 | 69 | | |
| 6 | სიღნაღისა . . . | 44 | 91 | 33 | 48 | 71.715 | $78.878,_5$ | $19.270^1/_2$ | 21.582 | 40 | | |
| | | | 92 | 33 | 48 | 72.689 | 55.219 | 28.050 | 52.405 | 63 | | |
| 7 | თელავისა . . . | 33 | 91 | 32 | 61 | 36.193 | $78.769,_2$ | $1.507^1/_2$ | — | — | | |
| | | | 92 | 33 | 63 | 52.505 | $45.475^1/_2$ | 2.045 | 11.279 | 63 | | |
| 8 | თიონეთისა . . . | 32 | 91 | 8 | 53 | 14.542 | 1.428 | 125 | 1.413 | 40 | | |
| | | | 92 | 9 | 61 | 15.523 | 12.480 | $7.146^2/_5$ | 1.633 | 40 | | |
| 9 | ტფილისისა . . . | 50 | 91 | 42 | 124 | 52.157 | 28.697 | — | 8.234 | 21 | | |
| | | | 92 | 45 | 125 | 53.993 | $50.515^7/_8$ | $107^1/_2$ | 25.880 | 49 | | |
| | სულ გუბერნიაში . . | 401 | 91 | 272 | 1.169 | 415.969 | $256.830,_7$ | $67321^7/_{12}$ | 110.692 | 57 | | |
| | | | 92 | 295 | 1.251 | 506.780 | 327.373 | $103566^2/_5$ | 220.910 | 44 | | |

ტფილისის გუბერნატორის კანცელარიის მმართველის თანამდ. აღმასრ. ნ. კარახანოვი.

იმის თანაშემწეს მაგიერ ა. ქალანთაროვი.

### გამოსადეგი ცნობანი

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

„ . . . , . „ . 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.


## განცხადებანი

მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულს საზოგადოებას ტფილისისას, რომ თავად სოლომონ იოსების ძის ჯანდიერის ღვინის სავაჭროში ისყიდება კახური ღვინოები საკუთარის ვენახებისა—თუნგი სამ აბაზიდგან და ბოთლი 13 კაპეიკიდგან დაწყებული.

ძველ ფოსტის ქუჩაზედ, თავ. ივ. ბაგრატიონ-მუხრანსკის სახლში, იარმუკაზედ.

(2—45—1)

## ქართველებს

### სააღდგომო საჩუქრად.

ქართველთა ამხანაგობის მაღაზიაში ისყიდება

**ილია ჭავჭავაძის** თხზულებათა

1 ტ. (ლექსები და პოემები) კარგ ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით. 2 მ. 50 კ.

იგივე უყდო. . . 2 მ.

იგივე მდარე ქაღალდზედ . 1 მ. 20 კ.

„ბნელო“, მოთხრობა მელანიასი მშვენიერის ყდით . 90 კ.

დავითაშვილის ნაწერები ლამაზის ყდით. . . 1 მ. 25 კ.

ზღაპრები ლამაზი ყდით . 80 კ.

ყაზბეგის თხზულებანი I, II, III ტ. ფასი თითო ტომისა მშვენიერის ყდით. . 2 მ. 50 კ.

ხოლო სამი ტომი ერთად . . . . . . . . 7 მ. „ „

«ქართველთა ამხანაგობის» მიერ გამოცემული

## ილია ჭავჭავაძის

### თხზულებათა

პირველი ტომი

(ლექსები და პოემები)

ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი გარდაეცა ამხანაგობის მაღაზიას გასაყიდად.

ფასი 1 მ. 20 კ.

## კბილის ექიმი

## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 10 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—33)


Дозв. ценз. Тифлисъ, 28-го Марта 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.